განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

15 ნოემბერი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
13 დეკემბერი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პოლიტიკის მეცნიერებები
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2012 წლის 28 ნოემბრი #735

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი მანველიძე, პროფესორი, სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვიჩა ბერიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა მოქმედებს 2012 წლიდან. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნებიდან გამომდინარე მოაზრებულია როგორც ფართო განათლების მიმცემი პოლიტიკის მეცნიერებების სფეროში, რომელიც უპასუხებს თანამედროვე გამოწვევებს პოლიტიკის სფეროში და ამასთანავე, ითვალისწინებს დარგის მიღწევებს. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამის კურიკულუმი აგებულია თეორიული ცოდნის მიწოდება-მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სინთეზის პრინციპით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დღეს არის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც აკრედიტაციის ვადა ეწურება 2021 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით, შეექმნა კურიკულუმის განვითარების კომისია (ფაკულტეტის საბჭოს ოქმი N1, 2.07.2020) და პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი (ფაკულტეტის საბჭოს ოქმი N6, 12.04. 2021), რომელსაც დაევალა შეემოწმებინა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან, აგრეთვე მოემზადებინა თვითშეფასების ანგარიში და ყველა საჭირო დოკუმენტაცია. პროგრამის კურიკულუმის განვითარების კომისია, რომელმაც მუშაობა დაასრულა 2021 წლის აპრილში და მასალები გადასცა „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს. როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლამ აჩვენა რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა აგებულია პრინციპით - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი კვალიფიკაციის მისაღებად. პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი. წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება 24 აკადემიური პერსონალი (მათ შორის, 6 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი და 6 მოწვეული პერსონალი. როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული თითოეული მათგანის კვალიფიკაცია რელევანტურია აღნიშნული დარგისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 5 ნოემბერს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან: - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი - პროგრამის ხელმძღვანელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები - პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი - პროგრამის სტუდენტები - პროგრამის კურსდამთავრებულები - დამსაქმებლები.
გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებას.
დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 10.00-დან 18.30 საათამდე.
ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1; შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2; 2.3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4; 2.5; 2.6 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1; 4.2; 4.3; 4.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1; 5.3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. სტანდარტი. 1.1. კომპონენტი

1. რეკომინდირებულია პროგრამის მიზნებში ცოდნასთან ერთად ჩანდეს ის თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.

1. სტანდარტი. 1.2. კომპონენტი

2. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადობის უზრუნველსაყოფად გადაიხედოს მათი ფორმულირებები.

2. სტანდარტი. 2.2. კომპონენტი

3. რეკომენდირებულია სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსები: პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, პოლიტიკის თეორია და თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები, თითოეულის პრერეკვიზიტის დაცვით შესაბამისად დალაგება, რომ ლოგიკურად დალაგდეს და მოხდეს პრერეკვიზიტის დაცვა შემდეგი თანმიმდევრობით ჯერ ისწავლებოდეს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, შემდეგ პოლიტიკის თეორია და ბოლოს თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები.

4. რეკომენდირებულია „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ განისაზღვროს სასწავლო კურსის „პოლიტიკის კვლევის მეთოდები“ წინაპირობად.

5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „საქართველოს პოლიტიკური სისტემები“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „შედარებითი პოლიტიკა“.

2. სტანდარტი. 2.3. კომპონენტი

5. რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში (პოლიტიკის კვლევის მეთოდებ; შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში; პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია; ქართული პოლიტიკური აზრი, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, ,,მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური კონფლიქტები, საჯარო პოლიტიკა, თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები) სწავლის შედეგების რეფორმულირება მკაფიობისაა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად

6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „პოლიტიკური კონფლიქტები“ სწავლების მიზნის შინაარსობრივო რეფორმულირება იმ მიზნით, რომ იყოს მკაფიო და აღქმადი.

7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „პოლიტიკის კვლევის მეთოდები“ და „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ თემატური გადაფარვების აღმოფხვრა.

8. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ კურსის მიზანი და სწავლის შედეგები, უნარების ნაწილში მოვიდეს კორელაციაში.

9. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „პოლიტიკის კვლევის მეთოდები“ და „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ ძირითად ლიტერატურაში გადაფარვების აღმოფხვრა.

5. **სტანდარტი. 5.1. კომპონენტი**

10. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სწავლის შედეგების შეფასების მექანიმების შემუშავების მიმართულებით გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები.

5. სტანდარტი. 5.3. კომპონენტი

11. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, შემდგომი მონიტორინგის ფარგებში, სიღრმიეულად იქნას შესწავლილი სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებები და მოსაზრებები არა მარტო პროგრამის შინაარსთან, თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებთან, არამედ პროგრამის განხორციელებასთან, სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან მიმართებით.

აღნიშნული რეკომენდაციების აღმოფხვრა შესაძლებელია ექვსი თვიდან ერთი წლის შუალედში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებისთვის მიზნობრივი კვლევის განხორციელება, რათა უკეთ გამოიკვეთოს დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნილებები.
2. ჩანაწერი პროგრამის წინაპირობის მე-3 პუნქტში „პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში“, ვფიქრობთ, უფრო მართებული იქება თუ ჩანაცვლდება ჩანაწერით „პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში მხოლოდ იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც მე-3 სავალდებულო სანგად აირჩიეს მათემატიკა/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია“, ან ჩანაწერი მე-4 საგანთან დაკავშირებით ამოღებულ იქნას;
3. სასურველია მოხდეს სწავლის მერვე, მეცხრე და მეათე შედეგების, რომელიც ეხება ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას აკუმილირებული სახით ფორმულირება.
4. სასურველია სტუდენტთა მხარდამჭერი ისეთი მხარდამჭერი სისტემების, როგორიცაა შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის სტიმულირება;
5. სასურველია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის განხორციელდეს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობების, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და სხვ. ორგანიზება.
6. სასურველია პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში პროგრამის ფარგლებში მოხდეს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში სტუდენტურ კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის უფრო მეტად წახალისება და მხარდაჭერა მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თუ სხვა საშუალებით, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.
7. სასურველია გამრავალფეროვნდეს შეფასების სისტემა, კერძოდ, შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტებში გამოიკვეთოს შესაბამისი დავალებ(ებ)ი, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარეზე და თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე.
8. სასურველია, ფაკულტეტებს მიეცეთ შესაძლებლობა დააწესონ უფრო მაღალი ზღვარი თავიანთი პროგრამების ფარგლებში; კერძოდ, გაიზარდოს შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (11 ქულა);
9. სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციაში დეტალურად გაიწეროს ის შემთხვევა, როდესაც საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი წერს უარყოფით დასკვნას;
10. სასურველია გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში არ იძებნება შესაბამისი ჩანაწერი პლაგიატის შესახებ.

11. სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან.
12. სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებში პერსონალის კიდევ უფრო აქტიურად ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
13. სასურველია „სტადლაბის“ სისტემური ხარვეზების დროული გამოსწორება, რათა იგი შეუფერხებლად მუშაობდეს უფრო დიდი დატვირთვის პირობებშიც.
14. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წახალისების მიზნით, სასურველია, შიდა საგრანტო კონკურსის დანერგვა და შესაბამისი ხარჯების ბიუჯეტში გათვალისწინება.
14. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მოფიქრებული იქნას გამოკითხვებზე მეტად ეფექტური საშაულებები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ეფექტიან ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.
15. საურველია განხორციელდეს პროგრამის შიდა შეფასების ფორმების მოდიფიცირება. კერძოდ, მოხდეს მათი შინაარსისა და შეფასების ინდიკატორების გამრავალფეროვნება განახლებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სასურვლია, დაემატოს ინფორმაცია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა საჭიროებების ასახვის, პროგრამის მიზნები/სწავლის შედეგების შინაარსისა და ფორმულირებების ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამის დონესთან და აკრედიტაციის პირველ სტანდარტთა შესაბამისობის, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შესახებ და ა.შ.
16. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასებისთვის კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებისაში.
17. სასურველია, ერთი მხრივ, უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, დაიხვეწოს ქართველი გარე შემფასებლებისთვის უკვე არსებული შეფასების ფორმა, გამრავალფეროვნდეს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი და შეფასების კრიტერიუმები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მოსაზრებები დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის და საბაკალავრო პროგრამის მიზნების მიხედვით სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზანია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომელიც მას პოლიტიკის მეცნიერების სფეროში პროფესიული და კარიერული წინსვლის და/ან მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს. პროგრამის მიზანი ასახავს, თუ რა ცოდნის მიცემაზეა ორიენტირებული პროგრამა, თუმცა პროგრამის მიზნებში, მიუხედავად იმისა რომ პროგრამის სწავლის შედეგებში და სასწავლო კურსების სილაბუსებშიც ნათლად ჩანს თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ემსახურება პროგრამა, არ არის აღნიშნული თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული. აქედან გამომდინარე პროგრამის მიზნები სუსტად ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს პოლიტიკის მეცნიერების სფეროში, როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში, შესაბამისად პროგრამის მიზნების კავშირი სუსტად იკვეთება უნივერსიტეტის მისიას. ასევე, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა მოთხოვნის წარმოდგენილი ანალიზი სუსტად აჩვენებს პოლიტიკის მეცნიერების ფართო ცოდნის მიმართულებით პროგრამის მნიშვნელობას და საჭიროებას, რადგან არ ჩანს მკაფიოდ შრომის ბაზრის მოთხოვნილება დარგობრივი კომპეტენციების საჭიროების მიმართულებით. აღნიშნულ დოკუმენტში სუსტად ჩანს პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის საჭიროება და მნიშვნელობა დამსაქმებლებისათვის. საგანმანთლებლო პროგრამა ავლენს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის პრინციპებთან თავსებადობას, თუმცა საკუთრივ საგანამანთლებლო პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია არ არის განსაზღვრული, ამიტომ სასურველია საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავება. გასაუბრებამ აჩვენა, რომ რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა გაზიარებულია აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულების მიერ. შესაბამისად, სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და მიზნობრივად საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება, რომ უკეთ გამოიკვეთოს დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნილებები. ასევე, რეკომინდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მკაფიო ჩამოყალიბება თუ

რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ემსახურება პროგრამა. წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ორიენტირებულია პროგრამის ფარგლებში მისაღებ თეორიულ ცოდნაზე და მასში არ იკითხება შესაბამისი უნარები და კომეტენციები, მაშინ როცა აკრედიტაციის სტანდარტის 1.1. კომპონენტის მოთხოვნის შესაბამისად პროგრამის მიზნები უნდა ასახავდეს „თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; – უნივერსიტეტის მისია; – შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი; – პროგრამა/კურიკულუმი; – საგანმანათლებლო პროგრამის მარეგულირებელი წესი; – ინტერვიუს შედეგები; – უნივერსიტეტის ვებგვერდი. – უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტი
რეკომენდაციები: რეკომინდირებულია პროგრამის მიზნებში ცოდნასთან ერთად ჩანდეს ის თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და მიზნობრივად საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება, რომ უკეთ გამოიკვეთოს დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნილებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც სტუდენტს ექნება პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით პროგრამის მიზნები

დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი ძირითადად შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სავალდებულო სასწავლო კურსს თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ძირითადად წვლილი შეაქვს პროგრამის დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლამ აჩვენა რომ პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვრა ათი შედეგი, რომლებიც ძირითადად თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან მხოლოდ ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში. პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და ის ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. კერძოდ:

ცოდნა და გაცნობიერება

- **განსაზღვრავს** თანამედროვე პოლიტიკის თეორიულ და გამოყენებით ასპექტებს, მის სისტემურ, სტრუქტურულ-ფუნქციონალურ და პროცესუალურ თავისებურერებს;
- **აღწერს** თანამედროვე პოლიტიკური სისტემებისა და რეჟიმების ტიპებს, პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობისა და საჯარო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს საქართველოში;
- **განმარტავს** თანამედროვე პოლიტიკური კულტურისა ტიპებსა და მისი დემოკრატიული ტრანზიციის პარადიგმებს, იდეოლოგიის როლს პოლიტიკასა და ქართული სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების პროცესში;
- **იხილავს** თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცის აქტორების, პოლიტიკური ინსტიტუტების, პოლიტიკური ელიტის რეკრუტირებისა და ცირკულაციის, პოლიტიკური ლიდერების ფუნქციური რაციონალურობისა და პრაგმატული ქცევის მოდელებს, პოლიტიკურ ტრანზიციის პროცესში;
- **ხსნის** საქართველოში არსებული პოლიტიკური კონფლიქტების მიზეზებსა და მისი გადაწყვეტის გზებს, თანამედროვე მსოფლიო წესრიგის კანონზომიერებებსა და გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების თავისებურებებს, ქართული სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს.

უნარი

- **ადგენს** თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციის ინსტიტუციურ და ღირებულებით პრიორიტეტებს;
- **აფასებს** თანამედროვე პოლიტიკური სივრცის რაციონალურ და ირაციონალურ პროცესებს, პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციის პრიორიტეტებსა და სამოქალაქო კულტურის ფორმირების პარადიგმებს;
- **შეიმუშავებს** პოლიტიკური პროცესის თეორიული და სიტუაციური ანალიზის, შესაბამისი დასკვნებისა და პრაგმატული რეკომენდაციების, პოლიტიკურ მოვლენათა ტიპოლოგიზაციისა და პრიორიტეტების, პოლიტიკურ სივრცეში მანევრირების მოდელებსა და სცენარებს, პოლიტიკურ აქტორთა მოღვაწეობის ძირითად პარადიგმებს;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **იყენებს** პოლიტიკურ პროცესში ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და რაციონალური და პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღებაში;

მონაწილეობს პოლიტიკურ-კულტურული, მოქალაქეობრივი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებითი პრიორიტეტების განსაზღვრისა და კონფლიქტების გადაჭრის გზების ძიების პროცესში.

სწავლის შედეგები მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, მათი შესწავლა და ანალიზი ავლენს გარკვეულ კითხვებს. კერძოდ, შეიმჩნევა წინადადების შინარსობრივი ფორმულირების სიცხადის სირთულე, მაგალითად, - ,,იხილავს თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცის აქტორების, პოლიტიკური ინსტიტუტების, პოლიტიკური ელიტის რეკრუტირებისა და ცირკულაციის, პოლიტიკური ლიდერების ფუნქციური

რაციონალურობისა და პრაგმატული ქცევის მოდელებს, პოლიტიკურ ტრანზიციის პროცესში“. ან კიდევ ,,შეიმუშავებს პოლიტიკური პროცესის თეორიული და სიტუაციური ანალიზის, შესაბამისი დასკვნებისა და პრაგმატული რეკომენდაციების, პოლიტიკურ მოვლენათა ტიპოლოგიზაციისა და პრიორიტეტების, პოლიტიკურ სივრცეში მანევრირების მოდელებსა და სცენარებს, პოლიტიკურ აქტორთა მოღვაწეობის ძირითად პარადიგმებს“; ან კიდევ ,,იყენებს პოლიტიკურ პროცესში ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და რაციონალური და პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღებაში“; პროგრამის სწავლის შედეგების მსგავსი შინაარსობრივი ფორმულირება გაართულებს მათ მკაფიო აღქმას და შესაბამისად რეალურ გაზომვადობასაც. მართალია, პროგრამაში არის სწავლის შედეგების მიხედვით შესაბამისი ზოგადი/პირობითი სამიზნე ნიშნულები გაწერილი, მაგრამ სწავლის შედეგების შეფასება აღნიშნული ნიშნულებით გაჭირდება, ვინაიდან სწავლის შედეგებში ვლინდება შინაარსობრივი აგებულების ზედაპირულობაც და სირთულეც. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია, სწავლის შედეგები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი.

თვითშეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის, ასევე პროგრამის კურიკულუმის და სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის შედეგების გაუმჯობესება ხდება აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლის, პროგრამის კურსდამთავრებულების და სტუდენტების კვლევისა და მათ მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველზე. სწავლის შედეგების შეფასებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რომელიც, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ატარებს შესაბამის კვლევებს. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია შესაბამის სასწავლო კურსებზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ნორმალური განაწილება; ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20% -ზე მეტი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება: კრედიტები; სწავლების მეთოდები; თემატიკა; მოცულობა; შეფასების ფორმები და მეთოდები; ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა; კურსის დაძლევის წინაპირობა და სხვ. შეფასების მექანიზმის დოკუმენტის მიხედვით

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება და სამიზნე ნიშნულები ეხება იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. შესაბამისად შემუშავებულია და განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი შეფასების მეთოდი ითვალისწინებს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს (ქულებს) და მათ ანალიზს; შეფასების არაპირდაპირ მეთოდი არის სტუდენტის მიერ თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ. თუმცა მოცემულ ეტაპზე შესაბამისი კითხვარი მხოლოდ მომზადების პროცესშია, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები შეძლებენ აღნიშნონ საკუთარი მოსაზრებები, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იგივე კითხვარი გაეგზავნება დამსაქმებლებთანაც. ასევე იგეგმება რუბრიკების მომზადება.

პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე მიღებული შედეგები გაანალიზდება და მოხდება მისი შედარება სამიზნე ნიშნულებთან. შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პროგრამის გადახედვა და კურიკულუმის რუკის მოდიფიკაცია. შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების

თანმიმდევრობაში, შეიძლება დაემატოს ან ამოიღონ სასწავლო კურს(ებ)ი, ცვლილებები შევიდეს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში, პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ. შედეგად მიღებული ცვლილებები აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში. ამ პროცესში ჩართული იქნება როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე აკადემიური, მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციია და სხვა დაინტერესებული პირები. საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის შემუშავების და კვლევის შედეგებიდან გამომდინარე პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციები ფაკულტეტის ხარისხის სამსახური წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ამ უკანასკენლის დადებითი დასკვნის საფუძველზე და საუნივერსიტეტო ხარისხის დასტურის შემდეგ ეს უკანასკნელი ცვლილებებს დასამტკიცებლად წარუდეგნს უნივერსიტეტს აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი; – საგანმანათლებლო პროგრამა; – პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; – ინტერვიუს შედეგები; – თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები: 2. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადობის უზრუნველსაყოფად გადაიხედოს მათი ფორმულირებები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია მოხდეს სწავლის მერვე, მეცხრე და მეათე შედეგების, რომელიც ეხება ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას აკუმილირებული სახით ფორმულირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და		X		

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის, თვითშეფასების დოკუმენტების მიხედვით და გასაუბრებით დადასტურდა, რომ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მკაფიოდ არის ფორმულირებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც სხვადასხვა პირობას მოიცავს. კერძოდ: პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულო საგნებად კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული), ისტორია; მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტში ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში განსაზღვრულ ჩასაბარებელ მესამე სავალდებულო და მეოთხე საგანთა ჩამონათვალთან მიმართებით ფიქსირდება შეცდომა, რომელიც სასურველია გასწორდეს. სახელდობრ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ოქტომბრის N92/ნ ბრძანების მიხედვით ცვლილება შევიდა „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში. აღნიშნული ბრძანების N3 დანართის მიხედვით პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამისთვის მე-3 სავალდებულო საგნებად განისაზღვრა მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია. შესაბამისად, შემდეგი ჩანაწერი პროგრამის წინაპირობის მე-3 პუნქტში „პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში“, ვფიქრობთ, უფრო მართებული იქება თუ ჩანაცვლდება ჩანაწერით „პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში მხოლოდ იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც მე-3 სავალდებულო სანგად აირჩიეს მათემატიკა/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია“, ან ჩანაწერი მე-4 საგანთან დაკავშირებით ამოღებულ იქნას. საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში

ორჯერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
პროგრამა და შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ჩანაწერი პროგრამის წინაპირობის მე-3 პუნქტში „პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში“, ვფიქრობთ, უფრო მართებული იქება თუ ჩანაცვლდება ჩანაწერით „პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში მხოლოდ იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც მე-3 სავალდებულო სანგად აირჩიეს მათემატიკა/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია“, ან ჩანაწერი მე-4 საგანთან დაკავშირებით ამოღებულ იქნას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის, დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის და ევროპული კრედიტების ტრანსფერების სისტემის შესაბამისად. თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შესწავლამ აჩვენა რომ პროგრამის შინაარსი ძირითადად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. გასაუბრებამ აჩვენა რომ პროგრამის საწყის ეტაპზე სტუდენტები ეცნობიან საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს უფრო მეტად სწავლის შედეგების გაცნობით დონეზე გაყვანას, შემდგომ ეტაპზე სტუდენტები ეცნობიან საგნებს, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის შედეგების გაღრმავებაზე, ხოლო პროგრამის დასკვნით ეტაპზე წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტები ხელს უწყობენ სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებას. შესაბამისად პირველი ოთხი სემესტრი უმეტესწილად ემსახურება დარგის და მისი მომიჯნავე დისციპლინების თეორიული საფუძვლების გაცნობას, მეოთხე სემესტრიდან იწყება და მეხუთე-მერვე სემესტრებში ინტენსიურად გრძელდება დარგის ძირითადი საკითხების, აქტორების, მიმდინარე პროცესებისა და გამოწვევების შესწავლა.

პროგრამის სტრუქტურის შესწავლამ და გასაუბრებამ აჩვენა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (114 ECTS), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი (45 ECTS), სავალდებულო არჩევითი უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული,) კომპონენტი (21 ECTS), თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (60 ECTS).

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა, სასწავლო კურსების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა. იმ საგნების გასავლელად, რომლებსაც გააჩნიათ დაშვების წინაპირობა სტუდენტი დაიშვება მხოლოდ პრერეკვიზიტად მითითებულ საგანში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები მეტწილად ერთიან კონტექსტში მოიაზრება. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მათ ლოგიკურ თავსებადობასა და თანმიმდევრობას ეთმობა, რაც მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ამ კუთხით პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ პროგრამაში მოცემული ზოგიერთი სასწავლო კომპონენტები შინაარსობრივად ავლენენ პრერეკვიზიტების მიხედვით თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების აუცილებლობას, ვინაიდან პრერეკვიზიტი არის არა მარტო ლოგიკურად და თანმიმდევრულად დალაგების, არამედ ის სტუდენტისთვის ცოდნის უწყვეტობის და ათვისების საფუძველს ქმნის. მაგალითად სასწავლო კურსები: პოლიტიკის თეორია, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები ერთდროულად ისწავლება პირველი კურსის მეორე სემესტრში. არადა სასწავლო გეგმაში ისინი უნდა ისწავლებოდეს სხვადსხვა სემესტრში, რომ მოხდეს სწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფა ვინაიდან თიტოული სასწავლო კურსის ლოგიკური დალაგება და პრერეკვიზიტის დაცვა უზრუნველყოფს

მირებული ცოდნის უზრუნველყოფას გაცნობის, განმტკიცების და გაღმავების მიმართულებიტ. კერძოდ რეკომენდირებულია ჯერ ისწავლებოდეს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, შემდეგ პოლიტიკის თეორია და ბოლოს თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები, შესაბამისად უნდა განისაზღვროს პრერეკვიზიტიც თითოეული სასწავლო კურსისთვის. ამ მიზნით უნდა მოხდეს სასწავლო კურსის დემოკრატია და მოქლაქეობა გადმოვიდეს მესამე სემესტრიდან მეორე სემესტრში და მის ნაცვლად გადმოვიდეს პოლიტიკის თეორიის სასწავლო კომპონენტი, ასევე თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერება: სკოლები და მიმართულებების სასწავლო კომპონენტი გადავიდეს მეოტხე სემესტრში ან შემდეგ სემესტრში რომ ლოგიკურად დალაგდეს და მოხდეს პრერეკვიზიტის დაცვა შემდეგი თანმიმდევრობით ჯერ ისწავლებოდეს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, შემდეგ პოლიტიკის თეორია და ბოლოს თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები. ასევე ყველა სავალდებულო დარგობრივი სასწავლო კურსის წინაპირობად განსაზღვრულია ერთადერთი სასწავლო კურსი პოლიტიკური მეცნიერების შესავალი, რაც არარელევანტურია. რეკომენდირებულია თემატიკიდან გამომდინარე სასწავლო კურსებისთვის რელევანტური პრერეკვიზიტები განისაზღვრება. მაგალითად კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსის პოლიტიკის კვლევის მეთოდები. ასევე საქართველოს პოლიტიკური სისტემის სასწავლო კურსის წინაპირობად უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსი შედარებითი პოლიტიკა. პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის წარმოდგენილი შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის საფეხურის შესაბამის განათლებას (ბაკალავრიატი) და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი) შესაბამისობას. გასაუბრებით დადასტურდა რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – საგანმანათლებლო პროგრამა – თვითშეფასების ანგარიში – ინტერვიუს შედეგები – სასწავლო კურსის სილაბუსები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში („პოლიტიკის კვლევის მეთოდები“; „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“; „პოლიტიკურ მოძღვრებატა ისტორია; ქართული პოლიტიკური აზრი, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, „მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური კონფლიქტები, საჯარო პოლიტიკა, თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები) სწავლის შედეგების რეფორმულირება მკაფიობისაა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად; რეკომენდირებულია საქართველოს პოლიტიკური სისტემის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი შედარებითი პოლიტიკა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის, პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლამ და წარმოდგენილმა კურიკულუმის რუკამ აჩვენა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსები ძირითადად უზრუნველყოფენ მითითებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტებისათვის ცოდნის და უნარების მიმართულებით. საკუთრივ პროგრამის შედეგებში კონკრეტულად ჩანს თუ დარგის რა ფართო ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად ასახავს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. კურიკულუმის და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ, ისევე როგორც გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურსების საკრედიტო მოცულობა უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. მათი გადანაწილებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში მოსამზადებელი დავალებების მოცულობა და სირთულე, ასევე სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურის მოცულობა. ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა, ძირითადად პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს, ხოლო სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ მასში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების შესწავლამ მასში გამოავლინა ტექნიკური და შინარსობრივი ხარვეზები. ასევე გამოიკვეთა სასწავლო კურსში თემატური გადაფარვების და სასწავლო კურსის სწავლის სწავლის შედეგების ფორმულირებასთან მიმართებით. მაგალითად, ზოგიერთ სასწავლო კურსში **დასახვეწია სწავლის შედეგები რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.** მაგალითად: სასწავლო კურსში **„პოლიტიკის კვლევის მეთოდები“** **„ადგენს** კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციებში **პოლიტიკური პროცესების კვლევის მეთოდებს;** დამოუკიდებლად აფასებს პოლიტიკური კვლევის შედეგებს და მისი გამოყენების პრიორიტეტებს; იყენებს თავის დასკვნებსა და რეკომენდაციებს საჯარო პოლიტიკური

სივრცის სტაბილურობის შენარჩუნესა და დემოკრატიულ ტრანზიციაში; მონაწილეობს პოლიტიკის საკვლევი თემატიკის შერჩევასა და ღირებულებითი პრიორიტეტების განხორციელებაში. ასევე სასწავლო კურსში „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“ - „ადგენს პოლიტიკის ძირითად პროცესუალურ მოდელებსა და სცენარებს პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში; აფასებს პოლიტიკური პროცესის ცალკეულ გამოყენებით ასპექტებსა და პარადიგმებს; მონაწილეობს ღირებულებითი პრიორიტეტების განსაზღვრასა და დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში“, ასევე სასწავლო კურსში „პოლიტიკურ მოძღვრებატა ისტორია: „ ადგენს საქართველოს პოლიტიკურ სისტემაზე პოლიტიკური აზროვნების ისტორიის მნიშვნელობას, უმთავრესად ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების იმპლემენტაციის პროცესში; პოლიტიკური მოძღვრების ისტორიის ცალკეულ სადისკუსიო პრობლემატიკასა და კონცეპტუალურ საკითხებს საინფორმაციო საშუალებებითა და საჯარო სივრცეში აყალიბებს სადისკუსიოდ; გაუზიარებს საზოგადოებას თავის პოლიტიკურ შეხედულებებს ღირებულებითი ტრანზიციის ძირითადი პარადიგმების გააზრების პროცესში“. ასევე სასწავლო კურსში - ქართული პოლიტიკური აზრი „სივრცესა და დროში იხილავს ქართული პოლიტიკური აზრის თეორიულ და ემპირიულ ასპექტებს; თანამედროვე პოლიტოლოგიაში დამკვიდრებული ხედვების შესაბამისად აფასებს ქართული პოლიტიკური აზრის განმსაზღვრელ პარადიგმებს; განმარტავს ქართული პოლიტიკური აზრის მნიშვნელობას საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტების იმპლემენტაციაში; ასევე სასწავლო კურსის შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში: „ გააჩნია საერთაშორისო ურთიერთობების დარგის ფარგლებში არსებული ლიდერული პოტენციალის რეალიზაციისთვის საჭირო ეთიკური ნორმების აღქმა და შესაბამისი კომპეტენციები; ასევე სასწავლო კურსი „მსოფლიო პოლიტიკა: „შეთავაზებს პოლიტიკურ აქტორებსა და საზოგადოებას თავის კონცეფციებსა და იდეებს; მონაწილეობს საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობის სისტემაში ადგილისა და როლის გააზრებაში.

სასწავლო კურსში პოლიტიკური კონფლიქტები- „გაუზიარებს თავის მოსაზრებებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ კონფლიქტებთან დაკავშირებით პოლიტიკური პროცესის აქტორებს და საზოგადოებას; იყენებს პოლიტიკურ სიტუაციებში პრაგმატული გადაწყვეტილებებისა და ღირებულებების მისაღებად“ . ასევე სასწავლო კურსში საჯარო პოლიტიკა „ადგენს საჯარო პოლიტიკურ სივრცეში აქტორთა ტიპებს და მათი რაციონალური პრაგმატულობის პოტენციალს; მონაწილეობს საჯარო პოლიტიკის ანალიზში მოვლენათა სინთეზირების, იტეგრირებისა და დაგეგმვის პროცესში; იყენებს საჯარო პოლიტიკური სივრცის დემორატიული ტრანზიციის ღირებულებითი პრიორიტეტების განსაზღვრაში“. ასევე სასწავლო კურსის - თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები: „იყენებს დასავლეთის პოლიტიკური მეცნიერების ცალკეულ კონცეფციებსა და თეორიებს თანამდროვე ქართულ სინამდვილეში; იყენებს თანამედროვე ქართული პოლიტიკური მეცნიერების ცალკეული პრობლემების კრიტიკულ გააზრებასა და აქტუალური თემატიკის შერჩევაში; მონაწილეობს პოლიტიკური ტრანზიციის ღირებულებითი პრიორიტეტების შერჩევასა და დამკვიდრებაში. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მსაგვსი ფორმულირებები სათუოს გახდის მათ გაზომვადობას, ამიტომ რეკომენდირებული მათი რეფორმურიება.

ზოგიერთ სასწავლო კურსში რეკომენდირებულია კურსის მიზნების რეფორმურილება მათი მკაფიოდ აღქმის გამო. კერძოდ, სასწავლო კურსში

პოლიტიკური კონფლიქტები მიზანია: ,,საქართველოში პოლიტიკური კონფლიქტების /აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი“/ **შესწავლა და მისი დარეგულირების გზების ძიება**; საერთაშორისო პოლიტიკური კონფლიქტების მიზეზებისა და **ქართული სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივების შესწავლა“**

ცალკეულ სასწავლო კურსებში შეინიშნება თემატური გადაფარვები, კერძოდ: სასწავლო კურსის პოლიტიკის კვლევის მეთოდები მე-2 და მე-3 კვირაში ფარავს სასწავლო კურისის კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. კერძოდ პოლიტიკის კვლევის მეთოდების მე-2 და მე-3 კვირის თემებია ,,სოციალური კვლევის ცნება და სოციალური პრობლემები, მისი კლასიფიკაცია სოციალური მეცნიერების კვლევის შემადგენელი ნაწილები: ჰიპოთეზები, ცნებები, ცვლადები. სოციალური მეცნიერების კვლევის შემადგენელი ნაწილები: გაზომვა, გაზომვის სტრუქტურის შემუშავება; პოლიტიკის მეცნიერებაში გაზომვის მაგალითები: ოპერაციონალიზაცია, გაზომვის სისწორე, სანდოობა, ვალიდურობა. ხოლო სასწავლო კურსის კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში **თემატურ კვეთაშია სასწავლო კურსის ,,სოციალური კვლევის მეთოდები, მე-3 კვირის თემასთან სოციალური კვლევისა და სოციალური პრობლემის ცნებები.**

ზოგიერთ სილაბუსში რეკომენდირებულია სასწავლო კურსის დასახელება, მიზანი, თემატიკა და სწავლის შედეგები მოვიდეს კორელაციაშია. კერძოდ სასწავლო კურსის კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში კურსის მიზანია ,,მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა სოციალურ მეცნიერებებში რაოდენობრივი და თვისებივი მეთოდებისა და **მათი გამოყენების სპეციფიკის შესახებ**; ხოლო კურსის შედეგებში უნარების ნაწილში მითითებულია მხოლოდ ,,**ამყარებს ზეპირი და წერითი ფორმით კომუნიკაციას;“**

აუცილებელია ზოგიერთ სასწავლო კურსში ძირითადი ლიტერტაურის გადაფარვების აღმოფხვრა. კერძოდ სასწავლო კურსს პოლიტიკის კვლევის მეთოდებს და სასწავლო კურს კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში ძირითად ლიტერატურაში ერთი და იგივე ლიტერატურა აქვს მითითებული კერძოდ“ 1.პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები. ჯანეტ ბუტოლფ ჯონსონი, ჰ. ტ. რეინოლდსი ჯეისონ დ. მაიკოფთან ერთად. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2013 https://iliauni.edu.ge/ge/ajax/downloadFile/9837/ 2. კ. ნონიაშვილი. სოციოლოგიური კვლევები: მეთოდოლოგია და მეთოდიკა. ,,მწიგნობარი“, თბ., 2016

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლოპროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები

რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში (,,პოლიტიკის კვლევის მეთოდები“; ,,შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“; ,,პოლიტიკურ მოძღვრებატა ისტორია; ქართული პოლიტიკური აზრი, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, ,,მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური კონფლიქტები, საჯარო პოლიტიკა, თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები) სწავლის შედეგების რეფორმულირება მკაფიობისაა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად

რეკომენდირებულია სასწავლო კურსში პოლიტიკური კონფლიქტები სწავლების მიზანიის შინაარსობრივო რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და აღქმადი.

რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში პოლიტიკის კვლევის მეთოდები და კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში თემატური გადაფარვების აღმოფხრა. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში კურსის მიზანია და სწავლის შედეგები უნარების ნაწილში მოვიდეს კორელაციაში. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში პოლიტიკის კვლევის მეთოდებში და კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში ძირითად ლიტერატურაში გადაფარვების აღმოფხვრა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია, რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზეც, პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას უზურუნველყოფს ცალკეულ სასწავლო კურსებში შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდების ინტეგრირებით. კერძოდ, უმარვლეს სასწავლოს კურსებში ინტეგრირებულია ისეთი სწავლება სწავლის მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტებისათვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზე, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები და ა.შ. შესაბამისად, სტუდენტს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე ეძლევა მიღებული ცოდნისა და ათვისებული უნარების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება, რაც მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურით და მასში მოცემული ზოგიერთი სასწავლო კურსის ერთობლიობით. პროგრამა ასევე, უზრუნველყოფს საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო კომპონენტებს: კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, აკადემიური წერა, პოლიტიკის კვლევის მეთოდები, საბაკალავრო ნაშრომი. როგორც ინტერვიუირებამ აჩვენა, დაწესებულების ადმინისტრაცია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის ნაკლებად ახორციელებს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და სხვ. პრაქტიკული და

კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში პროგრამის ფარგლებში ნაკლებად ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში სტუდენტურ კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება და მხარდაჭერა მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თუ სხვა საშუალებით, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება. როგორც თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია და ეს ინტერვიუირების დროს დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენლებმა საგანმანათლებლო პროგრამა დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით არ ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკის (შეთავაზებულია არჩევითი სახით) და სტუდენტებში აღნიშნული უნარების განვითარება ხდება ზოგიერთი სასწავლო კურსისა და კურიკულუმს მიღმა აქტივობებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – თვითშეფასების ანგარიში; – ინტერვიუს შედეგები; – საბაკალავრო პროგრამა; – საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სტუდენტთა მხარდამჭერი ისეთი მხარდამჭერი სისტემების, როგორიცაა შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის სტიმულირება; სასურველია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის განხორციელდეს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და სხვ. ორგანიზება. სასურველია პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში პროგრამის ფარგლებში მოხდეს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში სტუდენტურ კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის უფრო მეტად წახალისება და მხარდაჭერა მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თუ სხვა საშუალებით, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს როგორებიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და ა.შ., რომლებიც მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა დისკუსია, დებატები, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი, გონებრივი იერიში (Brain Storming), ახსნა-განმარტება, ანალიზი, თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, წერითი მუშაობის მეთოდი და სხვა. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, ასევე სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ისინი, ასევე, ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება/მომზადდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას. მეთოდები ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლის
მტკიცებულებები/ინდიკატორები – საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; – საგანმანათლებლო პროგრამა; – ინტერვიუს შედეგები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან; – სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტის შეფასებისას ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 3 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები ფასდება 60 ქულით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 40 ქულით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულების გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა (ანუ, სასწავლო კურსების 90%-ში შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 11 ქულა). დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის სასწავლო კურსების მიხედვით არის ან 18 ქულა ან 20 ქულა. სასწავლო კომპონენტი დაძლეულია საერთო ჯამში 51 ქულის მიღების შემთხვევაში. ყველა სილაბუსში ასახულია დასკვნით გამოცდაზე დაშვების და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ასევე, ეს უკანასკნელი განსაზღვრულია უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების მოქმედი სისტემით. ამ კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შუალედური შეფასების კომპონენტებია (გარდა შუალედური გამოცდისა): სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ზეპირი გამოკითხბა, პრეზენტაცია, დებატებში მონაწილეობა, ესეს მომზადება. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ არაერთგვაროვანი შედეგები მოგვცა. მაშინ, როცა კურსდამთავრებულები დადებითად აფასებენ მოქმედ შეფასების სისტემასა და მის შემადგენელ კრიტერიუმებს, აქტიურ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი მას უარყოფითად აფასებს, მათი აზრით საჭიროა მეტი პრაქტიკული აქტივობა და კომპლექსური დავალებები იმისათვის რომ გავიდეთ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე. ვფიქრობთ, რომ სასურველი იქნებოდა როგორც შუალედურ შეფასებებში, ისე გამოცდების შეფასებებში პრაქტიკული ელემენტის იმპლემენტაცია. მაგალითად, Case study-ს ტიპის დავალებების შესრულება (ან სხვა მსგავსი), რომელიც მიმართული იქნება თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების დემონსტრირებისკენ მთელი სასწავლო კურსის მიმდინარეობისას.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, რომელიც თავად უნივერსიტეტის და მათი სტუდენტების პროდუქტია, ე.წ. StudLab (იხ. ლინკი: https://students.sou.edu.ge/login). სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თავიდანვე გაეცნონ სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდნენ შეფასების ძირითადი კომპონენტები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს თავისი მიმდინარე შეფასებებს ელექტრონული მართვის სისტემიდან ადევნოს თვალი და დროული რეაგირება ჰქონდეს მიღწეულ შედეგებზე. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით არსებობს ლექტორსა და სტუდენტს შორის იოლი კომუნიკაციის შესაძლებლობა. ამდენად, შეფასების ფორმები და კომპონენტები წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის და გამჭირვალეა.

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო სახით გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმებისა და შეფასების ინსტრუქცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (იხ. ბმული: https://www.sou.edu.ge/images/file/1551680097--2018_sabakalavro%20naSromis%20instruqcia.pdf). ამ უკანასკნელის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია, ასევე, მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, რომელშიც წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების შემდეგი კომპონენტები:

- საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტისა და დარგობრივი კომისიის, შეფასება - 60 ქულა;
- საბაკალავრო ნაშრომის ზეპირი დასკვნითი დაცვის (პრეზენტაციის) შეფასება კომისიის მიერ - 40 ქულა.

შუალედური შეფასებებისა (ხელმძღვანელისა და რეცენზენტების დასკნები) და ზეპირი დასკვნითი დაცვის (პრეზენტაციის) ჯამური ქულაა 100. სასწავლო კურსის სილაბუსში არ ჩანს დასკვნით დაცვაზე (პრეზენტაციაზე) საბაკალავრო ნაშრომის დაშვების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თუმცა ეს უკანასკნელი დაფიქსირებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციაში, სადაც ვკითხულობთ: „საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებებისა და რეცენზენტის ქულის საშუალო არითმეტიკულს. თუ მიღებული შეფასება არის 11 ქულაზე ნაკლები, მაშინ სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით დაცვაზე“. შუალედურ შეფასებამდე 2 კვირით ადრე საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელმა ფაკულტეტის ადმინისტრაციას უნდა წარუდგინოს წერილობითი დასკვნა. აღსანიშნავია, არც სილაბუსში, არც ინსტრუქციაში არ ჩანს რა ხდება ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში. მითითებულია მხოლოდ რეცენზენტის შემთხვევა, როდესაც რეცენზენტი ვალდებულია უარყოფითი დასკვნის შესახებ წინასწარ (ერთი კვირით ადრე მაინც) აცნობოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს. ხოლო ასეთ შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება საბაკალავრო ნაშრომის შუალედურ დაცვაზე. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებიდან ირკვევა რომ ყველა შესრულებული საბაკალავრო ნაშრომი გადის შემოწმებას პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში, თუმცა ამის შესახებ თავად სტუდენტები არ არიან ინფორმირებულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;

სასწავლო კურსის სილაბუსები;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის №05/01-384 დადგენილება „სახუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, იხ. ბმული: https://www.sou.edu.ge/images/file/1551680097--2018_sabakalavro%20naSromis%20instruqcia.pdf

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის თაობაზე“;

უნივერსიტეტის ვებგვერდი, იხ. ბმული: https://www.sou.edu.ge/home;

StudLab, იხ. ბმული: https://students.sou.edu.ge/;

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გამრავალფეროვნდეს შეფასების სისტემა, კერძოდ, შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტებში გამოიკვეთოს შესაბამისი დავალებ(ებ)ი, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარეზე და თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე. სასურველია, ფაკულტეტებს მიეცეთ შესაძლებლობა დააწესონ უფრო მაღალი ზღვარი თავიანთი პროგრამების ფარგლებში; კერძოდ, გაიზარდოს შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (11 ქულა); სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციაში დეტალურად გაიწეროს ის შემთხვევა, როდესაც საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი წერს უარყოფით დასკვნას; გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში არ იძებნება შესაბამისი ჩანაწერი პლაგიატის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების საკითხებზე ძირითადად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. მაგ., აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, პედაგოგების ცხრილი და სხვა) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, StudLab-ის მათ პირად გვერდზე (იხ. ბმული: https://students.sou.edu.ge/). საგანამანთლებლო დაწესებულებაში სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისების არაერთი მართვის ორგანოა, მათ შორის აღსანიშნავია: • სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური; • საერთაშორისო ურთიეთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური; • საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება; • კანცელარია და სხვ. სტუდენტს სასურველი სერვისის ან/და ინფორმაციის მისაღებად შეუძლია მიმართოს განცხადებით ფაკულტეტს. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ მათ არ უსარგებლიათ სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის სერვისებით, თუმცა იღებენ მათგან მიეწოდებოდათ გარკვეული სახის ინფორმაცია. კურსდამთვრებულებთან გასაუბრებისას გამოირკვა რომ ისინი დასაქმებულები არ არიან. ვფიქრობთ, რომ ამ კუთხით საჭიროა უფრო მეტად გააქტიურდეს კარიერული განვითარების ხელშეწყობა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული დასაქმებული იყოს მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრისას დაადასტურეს, რომ მათი დატვირთვა ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც. აღსანიშნავია, სტუდენტები ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ადასტურებენ, რომ ისინი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია მეტ-წილად ხორციელდება ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებით. ამასთან, მიმდინარე პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი ონლაინ

კონსულტაცია. სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვათა შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან და ფაკულტეტისგან. ზოგადად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციებში ჩართულობის მაჩვენებელი საშუალოდ 12 სტუდენტია. სტუდენტებთან და კურდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს მხოლოდ მცირე (1-2) ნაწილმა დაადასტურა ზემოთ აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილების მიღებაც, თუმცა იგივე აქტივობა სტუდენტების მხრიდან არ ფიქსირდება გაცვლითი პროგრამების მიმართ (გასაუბრების შედეგების თანახმად). სტუდენტთა ინტერვიუირების დროს, მათ აღნიშნეს, რომ ეს მათი პირადი არჩევანია. ექსპერთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი სტუდენტთა Erasmus+ სტატისტიკის თანახმად არ დაფიქსირებულა გაცვლითი პროგრამის სტუდენტები პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ ისინი აქტიურად მუშაობენ აღნიშნული მიმართულებით და ფიქრობენ მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს 2022 წლიდან. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სახის გამოკითვის შედეგები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობით. ინტერვიუს შედეგების საფუძველზე ამ უკანასკნელთა მხრიდან დადასტურებულია აღნიშნული. ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია მათი შეხედულებები და რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი, იხ. ბმული: https://www.sou.edu.ge/home; ○ StudLab იხ. ბმული: https://students.sou.edu.ge/; – ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება სტანდარტის მოცემული კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულნი არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათ შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ტრენინგებით და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებით საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი და ინდივიდუალური დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს როგორც სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით და მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებით განპირობებულ სხვა დატვირთვას, ასევე, აკადემიური პერსონალის დატვირთვას ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის ეწევა დამატებით საქმიანობას.

უნივერსიტეტში მოქმედებს აფილირების წესი, რომელიც განსაზღვრავს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) წერილობით შეთანხმებას (აფილირების შეთანხმებას) იმის თაობაზე, რომ ის ადასტურებს თავის აფილირებას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელია პროფესორი გურამ აბესაძე, რომელსაც აქვს მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ფლობს დარგისთვის და პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელ ცოდნას და აქტიურად მონაწილეობს პროგრამის განვითარების პროცესში.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სსუ ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე. ფაკულტეტის მართვა/ადმინისტრირება უზრუნველყოფილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების: ფაკულტეტის დეკანის, დეკანის მოადგილის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და სტუდენტთა რეესტრის წარმოების თანამშრომელთა, მიმართულების ხელმძღვანელთა ხელშეწყობითა და კონსულტაციებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები);

• პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომები (სტატიები, მონოგრაფიები, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მიღებული მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები და სხვა); • აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის გეგმა; • აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი; • აფილირების დოკუმენტი; • აკადემიური პერსონალისთვის გამოცხადებულ კონკურსში წარდგენილი დოკუმენტაცია; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ➢
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად ახორციელებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებას. პროცესის მიზანია უნივერსიტეტის თანამშრომლების ხელშეწყობა საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებასა და პროფესიულ განვითარებაში. პერსონალის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის და მისი ანალიზის საფუძველზე ხდება უნივერსიტეტში პერსონალის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. ასეთ ღონისძიებებს მიეკუთვნება ტრენინგები, სემინარები, ვორქშოფები და კონფერენციები. პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი სისტემატურად იმაღლებს თავის პროფესიულ დონეს – მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში, გადის შესაბამისს ტრენინგებს. მათ შორის COVID-19 ვირუსით გამოწვეულ პანდემიის პერიოდში პროგრამის აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს ონლაინ

ღონისძიებებში. უნივერსიტეტში წესდებით გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის (5 წელიწადში ერთხელ) 6 თვიანი სამეცნიერო შვებულება /მივლინება, ხელფასის სრული შენარჩუნებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის წესდება; • პერსონალის პირადი საქმეები; • პერსონალის განვითარების ღონისძიებები; • პერსონალის საქმიანობის შეფასების დოკუმენტი; • პროგრამის ბიუჯეტი; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებში პერსონალის კიდევ უფრო აქტიურად ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით, რომელიც განაპირობებს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობის აუდიტორიებით. უნივერსიტეტი ფართოდ იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნიკას. დაწესებულების საკუთრებაში არსებული თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერების საერთო რაოდენობა შეადგენს 500 - მდე ერთეულს. კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. დაწესებულებაში მოქმედებს 7 კომპიუტერული კლასი (84 კომპიუტერი). საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო

და კვლევით საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში. კერძოდ, უნივერსიტეტი აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით, ასლგადამღები აპარატებით, პრინტერებით, სკანერებით. "Tempus" და "Erasmus +"პროექტების ფარგლებში შექმნილია აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია ვიდეო-კონფერენციის მოწყობილობითა და ე. წ. „გონიერი" დაფებით.

უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ სერვისებს და მიმდინარეობს ახალი სერვისების შემუშავებისა და პილოტირების პროცესი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიყენება შიდა-საუნივერსიტეტო (სასწავლო პროცესის მართვის სისტემა) „ელგონი", რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის სტუდენტებს, ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს. სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „ელგონი" შეიცავს შემდეგ ფუნქციებს და მოდულებს:

- სასწავლო პროცესის მართვის მოდული:
- აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია:
- სტუდენტების ფინანსური მოდული:
- კანცელარიის მოდული: (უნივერსიტეტში დოკუმენტბრუნვის წარმოება/მართვა).

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული სისტემა „სტადლაბი", რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის სხვადასხვა სახის რესურსის ელექტრონულ მართვას, უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირებას, რომელშიც ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის თანმდევი სხვა ინფორმაცია (სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსები, შეფასებები, სტატუსის ცვლილება და ა.შ.); შექმნილია შესაბამისი ინტერფეისი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მარტივად შეიტანოს ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში და მარტივად მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა ბაზიდან.

ინტერვიუს დროს სტუდენტებმა ისაუბრეს, რომ პერიოდულად „სტადლაბს" ახასიათებს სისტემური შეფერხება. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმაც და აღნიშნეს, რომ ზრუნავენ ხარვეზის გამოსწორებაზე.

პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებსა და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად (ან საჭიროებისამებრ) სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და ასევე, სხვა სახის ლიტერატურით.

უნივერსიტეტს შპს - ,,ინოვეითივ სისტემს მენეჯმენტთან" გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც დაწესებულების ბიბლიოთეკა ჩართულია საქართველოში მოქმედ საუნივერსიტეტო და კვლევითი ინსტიტუტების საბიბლიოთეკო ქსელში.

სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა. ამ ეტაპზე გაფორმებულია ხელშეკრულება შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ინიციატივით „Clarivate Analytics" ჯგუფთან, რაც გულისხმობს „ტომსონ როიტერის" ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომას. ამავე დროს ერასმუს + პროექტის („მშვიდობის კვლევების სამაგისტრო მოდული საქართველოში") ფარგლებში მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმების პროცესი, რის მიხედვითაც სტუდენტებსა და პერსონალს ექნება წვდომა „EBSCO" – ს სამეცნიერო და სახელმძღვანელოების ბაზებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

• სსუ-ს ვებგვერდი www.sou.edu.ge ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია „სტადლაბის“ სისტემური ხარვეზების დროული გამოსწორება, რათა იგი შეუფერხებლად მუშაობდეს უფრო დიდი დატვირთვის პირობებშიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსუ-ს დაფინანსების წყაროებია: • საგანმანათლებო პროგრამების სწავლის საფასური; • ეროვნული და საერთაშორისო ფონდების სასწავლო და სამეცნიერო გრანტები; • ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სხვა ნებადართული შემოსავალი; ფაკულტეტის და პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ბიუჯეტი ითვალისწინებს ისეთი აქტივობების დაფინანსებას როგორიცაა ტრენინგები, სემინარები, ვორქშოფები, მივლინებები. სასურველია ამ აქტივობებს დაემატოს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი შიდა საგრანტო კონკურსებიც. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს, რომ მიღებული შემოსავლების მოცულობა ყოველწლიურად მზარდია და უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების მოძებნის მიმართულებით, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – პროგრამის ბიუჯეტი; – ფაკულტეტის ნაერთი ბიუჯეტი; – ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წახალისების მიზნით, სასურველია, შიდა საგრანტო კონკურსის დანერგვა და შესაბამისი ხარჯების ბიუჯეტში გათვალისწინება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი ორგანო, რომელიც გეგმავს და მონაწილეობას იღებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო და კვლევითი პროცესების, ისე საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებაში. უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის და განხორციელების შეფასების მექანიზმები თუ პროცედურები აღწერილია დოკუმენტში

„სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი სისტემა PDCA (”დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე”) ციკლის პრინციპით. საბაკლავრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურები რეგულირდება „საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური გუნდის მიერ. აღნიშნულ პროცესში კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოები. რაც შეეხება პროგრამის სააკრედტაციო პაკეტის მომზადებას, საუნივერსიტეტო რეგულაციის თანახმად, პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების ჩართუობაც შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენით, დამსაქმებელთა საჭიროებების განსაზღვრით, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა კმაყოფილებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით.
თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და გასაუბრებების შედეგებით დგინდება, რომ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის შემუშავების, დაგეგმვისა და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობა ძირითადად უზრუნველყოფილი იყო სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვებით. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას არ გამოიკვეთა მათი აქტიური თანამონაწილეობა პროგრამის შეფასების, შეფასებისა და განვითარების პროცესში. ვუშვებთ შესაძლებელობას, რომ პანელზე წარმოდგენილ სტუდეტთა და კურსდამთავრებულთა უმრავლოსაბას არ მიუღია მონაწილოება აღნიშნულ გამოკითხვებში. მიუხედავად ამისა, სასურველია პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოფიქრებული იქნას გამოკითხვებზე მეტად ეფექტური საშაულებები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაინტერესებული მხარეების ეფექტიან მონაწილეობას პროგრამის შეფასების პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ პროგრამის შემუშავება-განახლების პროცესში ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფი, რომლის წარმომადგენლობაც მოიცავდა ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტსა და დამსაქმებელს. თვითშეფასების ჯგუფმა განახორციელა რამდენიმე შეხვედრა, რომელთა ფარგლებში განიხილეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, თვითშეფასების ანგარიშის შედგენისთვის საჭირო მონაცემები და სხვ.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, კურიკულუმის რუკა, სამიზნე ნიშნულები და განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, რომელთა მეშვეობით შეგროვებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოხდება სწავლის შედეგების შეფასება. აღსანისნავია, რომ კურიკულუმის რუკა, სადაც იდენტიფიცირებულია კონკრეტულ სწავლის შედგეზე გამსვლელი ძირითადი, სავალდებულო სასწავლო კურსები დონეების მითითებით (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება), მოითხოვს გარკვეული ტიპის მოდიფიცირებას შემდგომი დახვეწის მიზნით. სახელდობრ, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგთან მიმართებით, ვფიქრობთ, უნდა გადაიხედოს შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსები და მიეთითოს შესაბამისი სამივე დონე, რადგან მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი სწავლის შედეგის განმტკიცებას წინ უნდა უსწრებდეს მისი გაცნობა და გაღრმავება შესაბამისი სასწავლო

კურსებით. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიმების შემუშავების მიმართულებით გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან.

მნიშნველოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მოქმედი „საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად გარდა იმისა, რომ პროგრამა შეფასდა ფაკულტეტის და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომელთა მიერ, განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება სსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმღვანელის. პროფესორ ომარ არდაშელიას მიერ. წარმოდგენილი შიდა შეფასების დოკუმენტების გაცნობისა და ანალიზის შედგომ, ვიფიქრობთ, საურველია თუ მოხდება შიდა შეფასების ფორმების მოდიფიცირება. კერძოდ კი, მათი შინაარსისა და შეფასების ინდიკატორების გამრავალფეროვნება განახლებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სასურვლია, დაემატოს ინფორმაცია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა საჭიროებების ასახვის, პროგრამის მიზნები/სწავლის შედეგების შინაარსისა და ფორმულირებების ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამის დონესთან და აკრედიტაციის პირველ სტანდარტთა შესაბამისობის, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შესახებ და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგები;
- თვითშეფასების კომისიის ოქმები;
- პროგრამის შიდა შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სწავლის შედეგების შეფასების მექანიმების შემუშავების მიმართულებით გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მოფიქრებული იქნას გამოკითხვებზე მეტად ეფექტური საშაულებები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ეფექტიან ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.
- საურველია განხორციელდეს პროგრამის შიდა შეფასების ფორმების მოდიფიცირება. კერძოდ, მოხდეს მათი შინაარსისა და შეფასების ინდიკატორების გამრავალფეროვნება განახლებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სასურვლია, დაემატოს ინფორმაცია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა საჭიროებების ასახვის, პროგრამის მიზნები/სწავლის შედეგების შინაარსისა და ფორმულირებების ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამის დონესთან და აკრედიტაციის პირველ სტანდარტთა

შესაბამისობის, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შესახებ და ა.შ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამა იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებს, მათ შორის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს, შესაბამის პროცესებსა და ამ პროცესთა განხორციელების ფარგლებში მიღებულ ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებს შემდგომი განვითარების მიზნით. გარდა ამისა, დაწესებულებაში დანერგილია პროგრამა გარე შეფასების პრაქტიკა დარგის წარმომადგენელი ქართველი და უცხოელი ექსპერტებისა და კოლეგების მიერ. პროგრამის გარე შეფასების პროცესში საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად ჩართულნი უნდა იყვნენ დამსაქმებლებიც. ამ უკანასკნელთა ჩართულობა წარმოდგენილი პროგრამისთვის განხორციელდა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში დამსაქმებლის მონაწილეობით. წარმოდგენილი პროგრამა გარე შეფასების მიზნით გაეგზავნა გარე შემფასებლებს. გარე შეფასება განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორისა და ამავე მიმართულების პროგრამის ხელმძღვანელის ვაჟა შუბითიძის მიერ. აგრეთვე, პროგრამა შეფასებული იქნა უცხოელი ექსპერტების, ტარას შევჩენკოს სახ. კიევის ეროვნული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ინსტიტუტის სოციალური კომუნიკაციის კათედრის გამგის, პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტის, სრულიად უკრაინის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის თავმჯდომარის ი.ვ. ბონდარის და ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის რენატი მატკევიციენის მიერ. ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ პროგრამა დადებითად არის შეფასებული. თუმცაღა, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შეფასებები არის ზოგადი და არ იძლევა პროგრამისთან, მის მიზნებთან, სწავლის შედგებთან და სასწავლო კურსებთან მიმართებით სიღრმისეული ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასებისთვის კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებისაში. სასურველია, ერთი მხრივ,

უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, დაიხვეწოს ქართველი გარე შემფასებლებისთვის უკვე არსებული შეფასების ფორმა, გამრავალფეროვნდეს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი და შეფასების კრიტერიუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა; • გარე შემფასებლების დასკვნები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასებისთვის კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებისაში. • სასურველია, ერთი მხრივ, უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, დაიხვეწოს ქართველი გარე შემფასებლებისთვის უკვე არსებული შეფასების ფორმა, გამრავალფეროვნდეს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი და შეფასების კრიტერიუმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უნივერსიტეტში დადგენილი წესისა და

პროცედურების შესაბამისად, რაც აღწერილია „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების“ დოკუმენტში. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება, სასწავლო და კვლევითი პროცესის, ადამიანური რესურსის, მატერიალური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსების, სტუდენტთა და პერსონალის მხარდამჭერი სერვისების შეფასება სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების მონაწილეობით. თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ წარმოდგენილი პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით დაწესებულება ყოველწლიურად და სემესტრულად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, მათ შორის, იყენებს როგორც პროგრამის შეფასების პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით მიღებული ინფორმაციის ანალიზს. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის მიზნით: პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელდა პროგრამის შედარება ანალოგ ქართულ და უცხოურ პროგრამებთან; პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მოხდა შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენა; ჩატარდა სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები პროგრამის ნეგატიური და პოზიტიური მიგნებების იდენტიფიცირების მიზნით; პანდემიის პირობების გათვალისწინებით, დისტანციური სწავლების შეფასების მიზნით განხორციელდა საჭიროებაზე მორგებული კვლევა სტუდენტთა კმაყოფილების დადგენისა და დისტანციური სწავლების მიმდინარეობის შეფასების მიზნით; განხორციელებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულმა ზემოაღნიშნულმა აქტივობებმა და წარმდგენილმა მტკიცებულებებმა (განსაკუთრებით, გამოკითხვის შედეგებმა), ისევე როგორც შესაბამის ჯგუფებთან გასაუბრებებმა გამოკვეთა პროგრამასთან მიმართებით არსებითად გასაუმჯობესებელი მხარეები. კერძოდ, გამოკითხვებითა და ინტერვიუებით დგინდება, რომ სტუდენტთა უმეტესობა კმაყოფილია პროფესორთა კვალიფიკაციით, თუმცაღა, იგივე უმეტესობა ნაწილობრივ კმაყოფილებას გამოხატავს პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, შრომის ბაზარზე დასაქმების, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების, შეფასების სისტემის გამჭვირვალობის, სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად ცოდნის კმარობის მიმართულებით. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, შემდგომი მონიტორინგის ფარგებში, სიღრმიეულად იქნას შესწავლილი სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებები და მოსაზრებები არა მარტო პროგრამის შინაარსთან, თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებთან, არამედ პროგრამის განხორციელებასთან, სწავლების და შეფასების მეთოდებთან მიმართებით. აღსანიშნავის, რომ დისტანციური სწავლების ფორმატში, გარკვეულწილად სწავლების და შეფასების მეთოდების მოდიციფირება მოხდა, მაგრამ აღნიშნული კვლავ პრობლემურ საკითხად დასახელდა სუდენტების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსები; • სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების სტატისტიკური ანალიზი; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

• კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი; • სწავლების შედეგების ანალიზი. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, შემდგომი მონიტორინგის ფარგებში, სიღრმიეულად იქნას შესწავლილი სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებები და მოსაზრებები არა მარტო პროგრამის შინაარსთან, თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებთან, არამედ პროგრამის განხორციელებასთან, სწავლების და შეფასების მეთოდებთან მიმართებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა ირაკლი მანველიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა ხვიჩა ბერიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ტალიკაძე